89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!





„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“

ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №17 (7070) 1 სექტემბერი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

ცხელი ზაფხულის დღეებში...

ცხელი ზაფხულის მიუხედავად თერჯოლის მუნიციპალიტეტში არაერთი მასობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიება გაიმართა. დამთვალიერებლები კვლავ მოუმრავლდა მის ღირსშესანიშნაობებს—ნავენახევის მღვიმეს, სკანდეს ციხეს, განსაკუთრებული ხალხმრავლობაა ქადაგიძის რაფზე, სადაც ზაფხულის ხვატიდან განთავისუფლება ნებისმიერს შეეძლო მდინარე ძუსას წყალობით. სოფლებში ფინიშის სწორზე გავიდა შიდასასოფლო საფეხბურთო პირველობები. ორგანიზებულად ჩატარდა ქართლოს ჭუმბურიძის სახელობის და სხვა სახელობითი საფეხბურთო ტურნირები მინი ფეხბურთში და მრავალი სხვა.

26 აგვისტოს კი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ქალაქ თერჯოლაში მორიგი კულტურული და სპორტული ღონისძიებები გაიმართა.

☞7

ერისა და ბერის ერთობით...

გასულ თვეში—აგვისტოში, ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ორი მეტად მნიშვნელოვანი თარიღი აღნიშნა—19 აგვისტოს ფერისცვალება და 28 აგვისტოს მარიამობა.

ერისა და ბერის ერთობით გაძლიერებულიყოს ჩვენი ქვეყანა...

აგვისტო—ფერისცვალება და მარიამობა
სექტემბერი—ღვთისმშობლობა და ჯვართამაღლება

გაზეთის მერვე გვერდზე თქვენ გაეცნობით ჩვენი კორესპონდენტის წერილს ფერისცვალების დღესასწაულის აღნიშვნაზე ფერისცვალების სახელობის სიქთარვის ეკლესიაში, სადაც იქადაგა თერჯოლა-ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგიმ (შალამბერიძე).

რაც შეეხება ღვთისმშობელ მარიამის მიძინებისა და ღვთისმშობლის შობის დღესასწაულებს, მათ თაობაზე, გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ. იმ ნომერში ასევე გესაუბრებით ჯვართამაღლების დღესასწაულის შესახებ.

აქვე შეგახსენებთ სექტემბრის თვის საეკლესიო კალენდრის მნიშვნელოვან თარიღებს:

11 სექტემბერი— თავის კვეთა იოანე ნათლისმცემლისა

14 სექტემბერი—საეკლესიო ახალი წელი

21 სექტემბერი— შობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა

27 სექტემბერი—ჯვართამაღლება

უფალი გვფარავდეს ჩვენ და

მიწის სისტემური რეგისტრაცია 2024

გამოიყენეთ შესაძლებლობა უფასოდ დაარეგისტრიროთ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები!

გამოიყენეთ შესაძლებლობა უფასოდ დაარეგისტრიროთ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები!

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022 - 2024 წლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) სისტემური წესით ეტაპობრივად აზომავს და დაარეგისტრირებს კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით რეფორმა ქვეყნის 1000-ზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულს ანუ 4000-ზე მეტ სოფელს მოიცავს. მიწის სისტემური რეგისტრაცია 2025-წლის პირველ იანვრამდე დასრულდება.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში უფასოა შემდეგი მომსახურება: უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და სისტემატიზება; მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის მომზადება; საკადასტრო მონაცემების ცვლილება; საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია; საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის აზომვა და მონაცემების დაზუსტება; გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება; დავების გადაწყვეტა (სანოტარო მედიაცია); მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია.

☞2

ახალთერჯოლის წყალსადენით სასმელ წყალს 630 ოჯახი მიიღებს...

☞3

ლიტერატურული გვერდი

დავით კლდიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

☞5

დავით კლდიაშვილი-160

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

გამოვიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა!

უნალექობით, ჰაერის მაღალი ტემპერატურით გამოწვეულმა გაუსაძლისმა სიცხეებმა უკვე მოგვაყენა მნიშვნელოვანი ზარალი. უჭირს სოფლის მეურნეობას, ერთთვიანმა გვალვამ და რამდენიმედღიანმა ძლიერმა ქარებმა სერიოზულად დააზიანეს სავარგულები, განსაკუთრებით ნათესი კულტურები, ბოსტნეული, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები, ხეხილი...

სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ხანძრებიც დაემატა. მთელი ქვეყანა შეაშფოთა ბორჯომის ხეობის უნიკალურ ტყეებში გაჩენილმა ხანძარმა, რომლის ლიკვიდაციაში თერჯოლელი მეხანძრეებიც მონაწილეობდნენ. ამ ცხელ დღეებში ჩვენს მეხანძრეებს ჭიათურის რეგიონშიც მოუწიათ დასახმარებლად გასვლა. მათ ხანძრის ლიკვიდაცია მოახდინეს ახალთერჯოლაში, მეტლახის წარმოების ტერიტორიაზე.

შექმნილი რეალობა მოითხოვს ვიყოთ ფრთხილად, რადგან ისეთი აალებადი სიტუაციაა, რომ ყველაზე მცირე ნაპერწკალმაც კი შეიძლება გამანადგურებელი ცეცხლი გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური განცხადებით მიმართავს საზოგადოებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციით, საქართველოში ცხელი და უმეტესად უნალექო ამინდი კვლავ შენარჩუნდება. გარდა ამისა, ჰაერის მაღალ ტემპერატურასთან ერთად, კოლხეთის დაბლობზე, ზემო იმერეთში, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, გორი-სურამის მონაკვეთზე და მთიანი რეგიონების ზოგიერთ რაიონში ძლიერი ქარიცაა მოსალოდნელი, რაც კიდევ უფრო ზრდის ტყის ხანძრების გაჩენის რისკს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ქვეყნის ტერიტორიაზე ტყის ხანძრების პრევენციის და შესაძლო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს, ასევე, არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

გაითვალისწინეთ, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ, შესაბამისად, ნუ დაანაგვიანებთ გარემოს და ნუ შეუწყობთ ხელს ტყის ხანძრების გაჩენას.

დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს.

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

მიწის სისტემური რეგისტრაცია 2024

გამოიყენეთ შესაძლებლობა უფასოდ დაარეგისტრიროთ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები!

1☞

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმასთან დაკავშირებით გაიმართა საინფორმაციო კამპანია, „კონსულტაციის დღე შენს მუნიციპალიტეტში“, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

საინფორმაციო შეხვედრას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი, მერის მოადგილეები, მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი, ასევე ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი შეუერთდნენ.

ასეთი შეხვედრების მიზანია სამოქალაქო საზოგადოებისთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების მხრიდან, რეფორმით გათვალისწინებული და განხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება, ადგილზე სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, ვებპორტალზე: SLR.napr.gov.ge რეგისტრაციასა და ინფორმაციის მოპოვებაში დახმარება.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს სრულად აზომავს, დაარეგისტრირებს და მონაცემთა ერთიან ბაზას შექმნის.

მიწის სისტემური რეგისტრაცია სრულიად უფასოა. კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი სამუშაოების დაწყების განრიგის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: slr.napr.gov.ge / schedule.

მინი სტადიონები, გზები, გარე განათება...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2022 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 81 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება უკვე დაიწყო.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ქვედა ალისუბანსა და ახალთერჯოლაში, სადაც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მინი სტადიონი მოეწყობა.

აქტიურ ფაზაშია, სოფელ ჩხარში საბავშვო ბაღის გარე ფასადის რეაბილიტაცია;

დასრულდა ინერტული მასალის შეტანა თუზის, ჯგილათის, ჩიხორის, სეფარეთისა და ზედა სიმონეთის საუბნო გზებზე, პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

უახლოეს დღეებში დაიწყება სოფელ კვახჭირში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, პროექტების განხორციელებისთვის, საჭირო პროცედურები ეტაპობრივად დაიწყება და აქტიურად გაგრძელდება.



ახალთერჯოლის წყალსადენით სასმელ წყალს 630 ოჯახი მიიღებს...

ვიდრე, ახალთერჯოლაში ახალი წყალსადენის მშენებლობის თაობაზე მოგითხრობთ, გვინდა ჩვენს მკითხველს შევახსენოთ, რომ ახალთერჯოლელებს თითქმის სამი ათეული წელია წყალსადენი არ ჰქონიათ და დარჩენილი იყვნენ სოფლის რამდენიმე ჭის, წყაროებისა და წვიმის წყლის იმედად.

ამ სამი ათეული წლის განმავლობაში ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო პრობლემასთან შეჭიდება. პრობლემის გადაჭრის იმედი მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც 2020 წელს მუნიციპალიტეტის მერიას ლაშა გოგიაშვილი ჩაუდგა სათავეში.

მისი თავკაცობით ამ საშვილიშვილო საქმეს დიდი ძალისხმევა მოახმარა სოფლის წარმომადგენლებმა: მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა, ახალთერჯოლის მკვიდრმა ბიძინა ბუცხრიკიძემ, სოფელში მერის წარმომადგენელმა გიგა კუბლაშვილმა, რომლებსაც შემდგომ სიქთარვა-ახალთერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჯემალ ისაკაძე შეუერთდა. ის, რომ წყლის რესურსის დაძიების, წყალსადენის პროექტირების და სამშენებლო სამუშაოების შემსრულებლის შესარჩევი ტენდერები თავიდანვე გაწერილ

ვადებში ჩატარდა და საჭირო თანხებიც იქნა მოძიებული, ბევრად განაპირობეს ამ საქმეში საქართველოს პარლამენტში ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის ბეჟან წაქაძის და საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერის, ჩვენი რაიონის მკვიდრის, მამუკა მდინარაძის აქტიურმა ჩართულობამ, რომელიც დღემდე გრძელდება მიმდინარე სამუშაოების ადგილზე მონიტორინგით და წამოჭრილი პრობლემების ოპერატიულად განხილვა-გადაწყვეტის საშუალებით.

ჩვენი გაზეთის წინადადებას, რომ ახალთერჯოლის წყალსადენის მშენებლობის შესახებ მკითხველისათვის მოგვეთხრო მხარი უყოყმანოდ დაუჭირეს, როგორც საკრებულოს ორივე დეპუტატმა ბიძინა ბუცხრიკიძემ და ჯემალ ისაკაძემ, ისე მერის წარმომადგენელმა სოფელ ახალთერჯოლაში გიგა კუბლაშვილმა და ამ რამდენიმე დღის წინ მათთან ერთად გავედით ობიექტზე, გავესაუბრეთ მშენებელი კომპანია „ჯი-ი-ეს“-ის წარმომადგენელს ბესო ჯანგავაძეს, სოფლის მოსახლეობას.

ბესო ჯანგავაძე: „ჩვენ კარგად გვესმის, რომ ახალთერჯოლის წყალსადენი, რომელიც სასმელი წყლისაა, მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ინფრასტრუქტურული პროექტია, რომლის ღირებულებაც 2 მლნ 138,0 ათას ლარს შეადგენს.

პროექტი მომავალი წლის ბოლომდეა გაწერილი, მაგრამ ჩვენ ისეთ თანადგომას ვგრძნობთ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, რომ უკვე განვაცხადეთ კიდეც—პროექტს რამდენიმე თვით ადრე დავასრულებთ. ამჟამად შესრულებული გვაქვს სოფელში შიდა ქსელების მოწყობის სამუშაოთა 70%. სრული რეაბილიტაცია ჩავუტარეთ— ფაქტიურად ხელახლა ავაშენეთ მთავარი-400 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი, რომლის მიმდებარედ უკვე აგებულია, როგორც საქლორატორო, ისე საყარაულო შენობები.

შესასრულებელი გვაქვს ბევრი სხვა სამუშაოც.

კერძოდ, უნდა მოეწყოს სათავე ნაგებობა, რომელიც განთავსებული იქნება ძევრში, მდინარე ძერულის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე. აქ გაკეთდება შემკრები ჭები, ასევე მოეწყობა სარეზერვო ტბა, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში ძერულიდან მიღებული წყლის რესურსით შეავსებს შემკრებ ჭებს, რითაც თავიდან იქნება აცილებული დეფიციტი მოსახლეობის წყალმომარაგებაში. ასევე გასაკეთებელია 150 სიგრძის დამცავი გაბიონი, ამტანი ქსელი და სხვა“.

გიგა კუბლაშვილი, მერის წარმომადგენელი ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სოფლის განვითარებას სხვა სიკეთეებთან ერთად ხელს უწყობენ პროგრამები, რომელთა მეშვეობით სოფლის ცენტრში ახალგაზრდებისათვის მოეწყო ხელოსნურსაფარიანი მინი სპორტული მოედანი, გასართობი ატრაქციონები, ტრენაჟორები, საქანელები, სკვერი და გარე განათება. აქ, ყოველდღე 70-100 ახალგაზრდა იკრიბება და ატარებს თავისუფალ დროს.

ეს ყველაფერი კი ჩვენ სულ რაღაც ერთ წელში შევძლოთ მერიის და საკრებულოს თანადგომით. თანასოფლელებთან ერთად პირადად ფიზიკურად ვართ ჩართულები სოფლის კეთილმოწყობის და გალამაზების საქმეში.

გელა ნიკოლაძე, ადგილობრივი მკვიდრი. ....რაც თავი მახსოვს, ჩემი წინაპრებიდან მოყოლებული აქ, ამ მიწაზე ვცხოვრობთ და ყველა დროს, გამონაკლისი ერთი ათეული წლის გარდა, სულ იყო წყლის პრობლემა.

ძალიან გვიჭირს, გაუსაძლის დღეში ვართ და ძალზე გვახარებს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის მერმა ჩვენთვის მოცემული დაპირება შეასრულა—უკვე დაწყებულია სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობა. მადლობის მეტი რა გვეთქმის...

ბექა ცარციძე, ადგილობრივი მცხოვრები. ახალთერჯოლაში, ცარციძეების უბანში ვცხოვრობ. სასმელი წყლის გამო ჩვენც ისე გვიჭირს, როგორც სხვას ყველას ამ სოფელში. სიმართლე გითხრათ, არ გვეგონა, თუ ამ პრობლემის მოგვარების საქმის დაწყება ასე მალე მოხდებოდა. როგორც ვიცი, საკმაოდ ღირებული პროექტია და მისი განხორციელების დაწყებას ცოტა დრო არ ჭირდებოდა, მაგრამ ყველაფერი საკმაოდ შემჭიდროებულ პერიოდში მოხდა, ალბათ იმიტომ რომ ჩვენი რაიონის ხელმძღვანელებმა, ჩვენი სოფლის წარმომადგენლებმა მერიასა და საკრებულოში, ყველამ, ვისაც კი რაიმე წვლილის შეეძლო შეეტანა ამ საქმეში ყველაფერი გააკეთა ახალთერჯოლის წყალსადენის მშენებლობის დასაწყებად.

გიზო მაისურაძე, ადგილობრივი მცხოვრები. ამ ბოლო წლების გვალვებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თუ რა ფასი აქვს წყალს. იგი მოსახლეობისათვის

ისეთი აუცილებელი გახდა, როგორც სასუნთქი ჰაერი.

რა თქმა უნდა იმედით შევყურებთ ახალი წყალსადენის მშენებლობას.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ დიდი და კარგი საქმის მშენებლობის ორგანიზატორსა და თავად მშენებლებს.

ბიძინა ბუცხრიკიძე, ადგილობრივი მკვიდრი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

„ახალთერჯოლის წყალსადენი არის მაღალი ხარისხის უწყვეტ წყალმომარაგებაზე ორიენტირებული პროექტი, რომელიც აქ მცხოვრები თითოეული ოჯახისთვის მნიშვნელოვან პრობლემას გადაჭრის. პროექტის დასრულების შემდეგ, სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ის დიდი მხარდაჭერა, რომელსაც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებიდან ვგრძნობთ. სწორედ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და ერთობლივი ძალისხმევით მოხდა აღნიშნული პრობლემის დადებითად გადაწყვეტა.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის ნდობა და მხარდაჭერა, რომელიც ასმაგად აძლიერებს ჩემს პასუხისმგებლობას.

მჯერა, რომ ერთად ბევრის გაკეთებას შევძლებთ სოფლის გაძლიერებისთვის!“

* * *

ჩემმა მასპინძლებმა, კომპანიის წარმომადგენლის ნათქვამს წყალსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, თავადაც ბევრი რამ დაამატეს, თქვეს, რომ კომპანიაში 8 ადგილობრივია დასაქმებული, გვარებიც ჩამოთვალეს—დავით ცხადაძე, კობა ქაშაკაშვილი, ილია ნიკოლაძე, გია ჭანტურიძე, ზურაბ შეყრილაძე, კოტე ამირანაშვილი, გიორგი დათიაშვილი, ფრიდონ გაფრინდაშვილი, რომელთა დამსახურება მნიშვნელოვანია, რომ 35 კმ სიგრძის შიდა ქსელიდან უკვე მოწყობილია 27 კმ. დასრულებულია მთავარი რეზერვუარის რეაბილიტაცია და სხვა.

იმედია, ეს ადამიანები სამუშაოთა მწარმოებელ კოტე თორთლაძესა და ინჟინერ ტექნიკურმუშაკებთან ერთად სოფლის და საქმის სიყვარულით თავის წვლილს უშურველად შეიტანენ ახალი წყალსადენის ექსპლუატაციაში შეყვანის საქმეში და იამაყებენ კიდეც, რომ ამ მნიშვნელოვანი ამბის აქტიური მონაწილენი იყვნენ.

იმ დღეს, ვიდრე წყლსადენის რეაბილიტირებულ რეზერვუარს მოვინახულებდით, სოფლის ის მინი სპორტული მოედანი დავათვალიერეთ, რომლის კონტურები უკვე კარგადაა გამოკვეთილი.

ადამიანურად კმაყოფილი დავრჩი ჩემი მეგზურების სოფლისათვის სასარგებლო საქმეების კეთებაზე იმ საოცარი სიყვარულითა და გულანთებული საუბრით, რითაც ისინი თავიანთ სამომავლო გეგმებს მაცნობდნენ. მივხვდი, რომ მათი ამ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება, ბევრად წაადგება არა მარტო ამ სპორტული მოედნის მომწყობ კომპანიას, რომლის ხელმძღვანელთან ერთად იქვე, სახელდახელოდ შეჯერდა შემდეგი სამუშაოების ჩატარების ცალკეული საკითხები, არამედ იმ კომპანიის მუშაობასაც, რომელიც როგორც შემსრულებელი პასუხისმგებელია ამ ეტაპზე სოფლის ყველაზე მეტად პრობლემური საკითხის—ახალთერჯოლის წყალსადენის მშენებლობაზე.

დავით შალიკაშვილი

მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების ბიუჯეტი მზარდია

მუნიციპალიტეტის მერიაში წლებია მოქმედებს მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამები, რომლებითაც სარგებლობენ სოციალურად დაუცველი, ფინანსური ან სხვა პრობლემების მქონე ოჯახები. სოციალური პროგრამების მართვას უზრუნველყოფს მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური (ხელმძღვანელი დიანა ფოცხვერაშვილი). აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციას, მათი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.

კომისიური წესით ისწავლება საკითხები, დგება შესაბამისი დოკუმენტაციები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მოთხოვნები იზრდება, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შესაბამისად იზრდება სოციალური პროგრამებისათვის გამოყოფილი სახსრები. ასე მაგალითად, 2020 წელს სოციალური საჭიროებისათვის გაიხარჯა 1 079 575 ლარი, ისარგებლა 5 394 ოჯახმა. 2021 წელს გაიხარჯა 1 169 622 ლარი, ისარგებლა 5 330 ოჯახმა, 2022 წელს კი გამოყოფილია 1 145 000 ლარი. ამასთან წელს ამ პროგრამებს დაემატა უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა, სადაც საჭიროების შემთხვევაში გაიხარჯება 5 000 ლარი.

ცალკეული პროგრამების მიხედვით 2022 წელს ... თვის შედეგებით პროგრამული ხარჯები ასეთ სურათს იძლევა.

1.თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარება შეადგენს 180 000 ლარს, დღეის მდგომარეობით გახარჯულია 177 100 ლარი, ისარგებლა 1 282 ოჯახმა.

2. სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების დახმარება 200 000 ლარია, გახარჯულია 152 580 ლარი, ისარგებლა 425 ადამიანმა.

3. ახალშობილთა ოჯახების დასახმარებლად გამოყოფილია 40 000 ლარი, გახარჯულია 24 450 ლარი, ისარგებლა 102 ოჯახმა.

4. მედიკამენტებისათვის გათვალისწინებული თანხა, ტენდერული ჩაშლის გამო 45 000 ლარი საკვები პროდუქტების დახმარების ბიუჯეტს დაემატა და ორივემ ერთად 85 000 ლარი შეადგინა, გახარჯულია 37 815 ლარი, ისარგებლა 661 ოჯახმა.

5. პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილია 37 000 ლარი, გახარჯულია 18 950 ლარი, ისარგებლა 62 მოქალაქემ.

6. უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთა დასახმარებლად გამოყოფილია 3 000 ლარი, გაცემულია 800 ლარი, ისარგებლა 2 ოჯახმა.

7. ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულთა პროგრამით გამოყოფილია 30 000 ლარი, გახარჯულია 21 150 ლარი, ისარგებლა 141 ადამიანმა.

8. დიალეზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ მოქალაქეთა სოციალური დახმარების პროგრამა განსაზღვრულია 84 000 ლარით, გახარჯულია 41 400 ლარი, ისარგებლა 36.

9. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინით, ქირით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსებულია 18 000 ლარით, გახარჯულია 9 000 ლარი, დაკმაყოფილდა 10 ოჯახი.

10. ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთათვის დახმარების პროგრამით 30 000 ლარია გამოყოფილი, გახარჯულია 18 700 ლარი, პროგრამით ისარგებლა 16 ადამიანმა.

11. მარტოხელა მშობელთა დასახმარებლად გამოყოფილია 16 000 ლარი, გახარჯულია 73 000 ლარი, დახმარება გაეწია 14 ოჯახს.

12. 18 წლამდე შშმ პირისათვის სარეაბილიტაციოდ მომსახურებისათვის გამოყოფილია 1000 ლარი, თანხა დღეის მდგომარეობით არ გახარჯულა.

13. ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურებისათვის 5 000 ლარია გამოყოფილი, თანხა ჯერ არ გახარჯულა.

14. შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა პროგრამა დაფინანსებულია 10 000 ლარით, გახარჯულია 1 000 ლარი.

15. ინვალიდთა ასოციაციას გამოყოფილი აქვს 10 000 ლარი, გახარჯულია 1 000 ლარი.

ამასთან დახმარებების გაცემა გათვალისწინებულია მარტოხელა მოხუცებზე, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებზე, შშმ ბავშვთა ცენტრებზე.

მიმდინარე წელს უსახლკაროდ დარჩენილ 9 ოჯახს აუშენდება საცხოვრებელი, რისთვისაც გაიხარჯება 360 000 ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების ... თვის შესრულების ანალიზიდან გამომდინარე რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეზე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის—მერიისა და საკრებულოს მუდმივ ყურადღებაზე მიუთითებენ.

—პირველი, რაც შეიძლება ამ მხრივ ითქვას, არის ის, რომ ბოლო წლებია სოციალური პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხები სტაბილურად მზარდია, უფრო მეტიც, გამოიკვეთა იმის დადებითი ტენდენცია, რომ საბიუჯეტო წლის განმავლობაში, როგორც წესი პროგრამული ხარჯებისათვის გამოყოფილი თანხების კორექტირებაც, ხდება მზარდი ფორმით.

—მეორე, ის რაც კარგია —ადგილობრივი თვითმმართველობა კონკრეტულად ეხმაურება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. ამ მხრივ აღსანიშნავია პროგრამა, რომელიც უსახლკაროთათვის ინდივიდუალური პროექტებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ითვალისწინებს. სოციალური დახმარების ამ ფორმით უკვე ისარგებლა ... ოჯახმა. საყურადღებოა, რომ მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მიმდინარე წელს ასეთი 9 ინდივიდუალური სახლი აშენდება, რაც ძალზე ბევრს ნიშნავს გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილი ფაქტიურად უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებისათვის.

—მესამე და მთავარი ის არის, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში ყოველმხრივ ცდილობენ სოციალური პროგრამებით ზუსტად იმ ადამიანებმა ისარგებლონ, როგორც ამ პროგრამით სარგებლობის დებულებაშია გაწერილი ანუ ყველაფერი მოხდეს სამართლიანად.

* * *

სოციალური პროგრამების შესრულების შვიდი თვის შედეგები იძლევიან გარანტიებს, რომ წლის ბოლომდე ბიუჯეტს კვლავ გაუჩნდება შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში გაზარდოს უკვე გაწერილი ხარჯები ცალკეული პროგრამების მიხედვით, რაც უფრო მეტი სოციალურად დაუცველი ადამიანისათვის გვერდით დგომას ნიშნავს.

მადლობა დამაბარეს...

სახლი №1—ეს სახლი სოფელ სიქთარვის უხუცეს ადამიანებს კარგად ახსოვთ, ცხადია მეც მახსოვს... ასე რომ სახლი საუკუნეს ითვლის ალბათ და დგას დღესაც. ახლა ამ სახლში აღარ ცხოვრობენ, მაგრამ ვერ ელევიან, რადგან იგი ბავშვობის და ახალგაზრდობის, წინაპრების მოგონებაა...

გარდაიცვალნენ კარგა ხნის წინ წინაპრები—ცოლ-ქმარი აკაკი სირბილაძე და დოდო ბლიაძე. დრო გადიოდა, ცხოვრება გრძელდებოდა ამ სახლში, დაუღალავად შრომობდა სირბილაძეების რძალი—ქალბატონი ჯულიეტა, გაზარდა შვილები ხათუნა და დარეჯანი, ჰყავს ხუთი შვილიშვილი. დარეჯანი მეუღლესთან ვეფხია ლობჟანიძესთან და ორ შვილთან, თათიასა და თამაზისთან ერთად ისევ ამ სახლში ცხოვრობს, უცხოვრიათ ნაქირავებში, სოფლიდან დროებით გასული მეზობლების სახლშიც.

სახლი №2—ეს სახლი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამით აშენდა, წლებია არსებობს სახლდაზიანებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს სოციალურად დაუცველ იმ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები საჭიროებენ გადაუდებელ შეკეთებას, ამასთან პროგრამა ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლის მშენებლობას ან შეძენას... თუ სახლი დაზიანებების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

სწორედ ამ ფარგლებში აშენდა ეს სახლი. ოჯახი კმაყოფილია, ბედნიერი და მადლობელი...

მეც დამაბარეს მადლობა—მუნიციპალიტეტის მერიასთან, სოფლის ხელმძღვანელობასთან...

ჟუჟუნა ცხადაძე

„ლექსის აკვანი“ საჯარო ბიბლიოთეკაში

15 აგვისტოს, თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული ღონისძიება „ლექსის აკვანი“, პოეტ გერმანე საზანოელის ხელმძღვანელობით (გამომცემლობა „პოეზიელის“ აღმასრულებელი დირექტორი, ა/ო საზოგადოება პოეზიელის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პროექტის „ლექსის აკვანი“ ავტორი და რედაქტორი ამავე სახელწოდების პოეტური ტომეულებისა).

თბილისიდან მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: ზურა ქობალია—მწერალი, გაზეთ „სახალხო განათლების ხელმძღვანელი, გამომცემლობა „ზენაარის“ დირექტორი, ჟურნალ „ამერ-იმერის“ თანარედაქტორი, პოეტები: თენგიზ პაპაშვილი, თენგიზ ფანცულაია, პაპუნა ქვარიანი. ლიტერატურულ ღონისძიებას დაესწრნენ აგრეთვე იმერეთის რეგიონის პოეტები: სალომე მარაშლიანი, გონერი მოსელიძე, ნუგზარ კობერიძე, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სახვაძე, ასევე ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, ფილოლოგი ელისო ყვავაძე.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლე—ლანა კუბლაშვილი.

ღონისძიება გახსნა და სტუმრებს მიესალმა ბიბლიოთეკის დირექტორი ლალი ცქიფურიშვილი. შემდეგ კი ბატონმა გერმანე საზანოელმა საინტერესოდ წარმართა ღონისძიება, პოეტები მონაცვლეობით კითხულობდნენ რჩეულ ლექსებს თავიანთი შემოქმედებიდან სხვადასხვა თემებზე, რამაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

პოეტებმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს წიგნები: პაპუნა ქვარიანი—ერთტომეული, ლექსის აკვანი—ტომი 8-9, ნარგიზ ჯაფარიძე—ცხოვრება და სიყვარული, რამაზ ჩხიკვაძე—რომანი, მოთხრობები, ლექსები. ბატონმა გერმანემ კი ბიბლიოთეკის დირექტორს მადლობის სიგელი გადასცა —„ხელოვან ადამიანთა გვერდით დგომისათვის“.

ღონისძიების ბოლოს პედაგოგმა დარეჯან ჭანტურიძემ სიტყვით მიმართა სტუმრებს, მადლობა გადაუხადა ამ საინტერესო დღისათვის და წარმატებები უსურვა თითოეულ მათგანს. სტუმრებს მიესალმა აგრეთვე ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის ცენტრის დირექტორის მოადგილე შორენა ბოჭორიშვილი, მან მადლობა გადაუხადა თითოეულს საინტერესო ღონისძიებისათვის.

ბიბლიოთეკის დირექტორმა ასევე მადლობა გადაუხადა სტუმრებს, მსმენელ მკითხველებს და აღნიშნა, რომ ასეთი პოეტთა სიმრავლე იშვიათად გვახსოვს, მით უფრო ბოლო წლებში.

გვინდა ჩვენი ბიბლიოთეკის ათასობით მკითხველის და მომხმარებლის სახელით წარმატებები ვუსურვოთ პოეზიის ავტორებს, ბატონ გერმანეს, მადლობა კიდევ ერთხელ ასეთი კარგი და ლამაზი, დასამახსოვრებელი დღისათვის.

ლალი ცქიფურიშვილი,
საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი

ლიტერატურული გვერდი

გაგაცნობთ დავით კლდიაშვილის პრემიის ლაურეატს რევაზ მიშველაძეს

რევაზ მიშველაძე დაიბადა 1940 წელს ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თსუ ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ალმანახ „კრიტიკისა“ და „მწერლის გაზეთის“ რედაქტორი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. გამოცემული აქვს უამრავი წიგნი—ნოველების, კრიტიკული წერილებისა და მეცნიერული გამოკვლევებისა. მინიჭებული აქვს ქვეყნის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო—რუსთაველის პრემია, არის მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

დაარსებისთანავე, 1995 წელს, პირველს მიენიჭა დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია.

დღევანდელ ჩვენს გაზეთში მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ ამ ბრწყინვალე შემოქმედის ნოველას „ხელმოწერათა შემგროვებელი“.

ხელმოწერათა შემგროვებელი

ისტორიის ფაკულტეტიდან, ომარ კალანდაძემ მომძებნა, კალანდაძე გეცოდინებათ, რასაკვირველია. პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე მითხრა: „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ჰქვია ჩვენს საზოგადოებას. ჯერჯერობით ოცდაშვიდი სტუდენტი და ორი ასპირანტი ვართ. თუ გინდა, იყავი ჩვენთანო.

რა უნდა ვაკეთოთ-მეთქი. რასაც სხვა წესიერი პარტია თუ საზოგადოება აკეთებსო. მართალია, დამარიგა მამაჩემმა, იქ, თბილისში, ყველა ერთმანეთს ასმენს, არ გაერიო არავითარ ჯგუფში, სწავლას გაუხდი მუყაითად, თორემ ხარჯი ხარჯად დაგვეკარგება და, შეიძლება, თავიც დაიღუპოსო, მაგრამ, წუთითაც არ მიყოყმანია, — ჩავეწერე.

მეორე შეხვედრაზე კალანდაძემ ხელმოსაწერი ქაღალდების მთელი დასტა მომიტანა. ასე, ათასი ხელმოწერა მაინც უნდა დავაგროვოთ, რომ პარლამენტმა რეფერენდუმი დანიშნოსო. „მოვითხოვ, რუსეთის საოკუპაციო ჯარი გავიდეს საქართველოდან“ — ეს ერთადერთი წინადადება ეწერა თავფურცელზე. ხელმოსაწერი გრაფა სამგანყოფილებიანი იყო: I — ხელმოწერა: II — სახელი, გვარი და მამის სახელი (მკაფიოდ), III — მისამართი.

ასე რომ, ზოგმა რომ იცის, გაკვრით, გაურკვევლად ხელმოწერა, მამაზეციერსაც რომ გაუჭირდება, დაადგინოს, ვინ აწერს ხელს, ასეთი რამ არ გამოვიდოდა. ან უნდა მოგეწერა სრულად ხელი მისამართის ჩვენებით, ან — არა.

ეს ქაღალდები ჩვენი საზოგადოების წევრებს ჩამოვურიგე. პარალელიზმი რომ გამოირიცხოს, ყველას თავისი „ფენა“ მივუჩინე, შენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან უნდა იმუშაოო.

ხვეწნა არავის დაუწყო. ვისაც უნდა ხელმოწერა, მაშინვე მოაწერს, ვისაც არ უჯდება ჭკუაში, დილიდან საღამომდე რომ ეჩიჩინო, ვერ დაიყოლიებო, კალანდაძემ.

ჯერ ჩემს ფაკულტეტზე, ჩემს ლექტორ-მასწავლებლებს შორის დავტრიალდი.

პროფესორ ევგენი ხელაძეს, ზარი რომ დაირეკა, აუდიტორიის კარებთან დავხვდი. ფანჯარასთან მივდექით, რამდენჯერმე წაიკითხა: სხვები რატომ არ აწერენ ხელსო. დღეს მომიტანეს, თქვენგან დავიწყე-მეთქი, პატივცემულო.

ვინ მოგიტანაო.

ჩვენ საზოგადოება გვაქვს სტუდენტური, იქ გადავწყვიტეთ, ხომ ხართ მომხრე, რუსის ჯარი გავიდეს საქართველოდან-მეთქი.

მთელი სიცოცხლე მაგაზე ვოცნებობ, ჩემო შანშე. ჩემს წიგნებში სხვას კი არაფერს ვწერო. ხელს მოვაწერ, რასაკვირველია, მაგრამ მაინც მითხარი, რატომ დაიწყე ჩემგანო.

პირველი თქვენი ხელმოწერა რომ იქნება, მერე სხვები ადვილად მოაწერენ, თქვენ ავტორიტეტი ბრძანდებით-მეთქი.

ეგ მართალია, მაგრამ, იცი რა, ჯერ სხვამ მოაწეროს. ჩემი საქმე სხვანაირადაა, იცი შენ. ისედაც არ მოვუდივარ მთავრობას თვალში. ჩემს ხელმოწერას პირველს რომ ნახავენ, რაღაცას მიხიმანჯებენ. შარზე არიან. ჯერ სხვამ მოაწეროს, თუ კაცი ხარ და მერე მოდი ჩემთან. ჩათვალე, რომ ჩემი ხელმოწერა ჯიბეში გაქვსო.

ისეთი მუდარით მეუბნებოდა ამ სიტყვებს პროფესორი ხელაძე, რომ ბატონი ბრძანდებით-მეთქი და დერეფანს გავუყევი.

დეკანატიდან პროფესორი შეშელიძე გამოვიდა. გამახსენდა მისი ცეცხლოვანი ლექციები და ისიც, რა სინანულით ამბობდა ხშირად, სად ხუთი წლის წინანდელი სტუდენტები და სად ახლანდელი, ცა და მიწასავითაა განსხვავება, ისინი კი არ დადიოდნენ, ციცინათელებივით კვესავდნენ, ამათ ზეზეულად ეძინებათო.

თუ ვინმე მოაწერს, ბატონი შეშელიძე მოაწერს ხელს-მეთქი და წინ გადავუდექი.

გამარჯობა, შანშე, შენიო, სალამი აქეთ დამასწრო. ცუდ საქმეზე არ გაირჯებოდი, ვიცი, შენო, რა ქაღალდი გიჭირავს ხელში, მაჩვენე ერთიო.

ხელმოსაწერია-მეთქი, გავუწოდე.

წაიკითხა და მაშინვე მოაწერა. აი, ყოჩაღ, ეგ უკვე საქმეა, ასე უნდა, აბა რა, უნდა ამოძრავდეთ ახალგაზრდებიო.

დავხედე „შ“-ს მსგავსი პირველი ასოა და მერე კლაკნილი ხაზი. დავეწიე. პატივცემულო, სახელი, გვარი და მამის სახელი სრულად გვჭირდება და მისამართი-მეთქი. კი, ბატონოო. ყველაფერი სრულად მიკარნახა და ჩამაწერინა.

ა, კაცი-მეთქი, გულში ვამბობ.

ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიას არ იყო შეშელიძე გაცილებული, რომ შემობრუნდა, ქაღალდი გამომართვა და სათვალე მოირგო.

ვინ გამოგატანა ჩემთან ხელმოსაწერადო.

არავინ, მე თვითონ მოგართმევთ-მეთქი.

სხვამ ხომ არვინ იცის, ჩემთან რომ უნდა მოგეტანაო.

არა, რატომ მეკითხებით-მეთქი.

არაფერი, ისეო, შენ გგონია, ჩემი ხელმოწერით გავა რუსის ჯარი საქართველოდანო?

მარტო თქვენ კი არა, მე მგონი, ამას, ორიოდე გამონაკლისის გარდა, მთელი საქართველო მოაწერს ხელს-მეთქი.

დამიბრუნა ქაღალდი და წავიდა. საპროფესოროსთან კიდევ ერთხელ შემოტრიალდა. შეშფოთებული სახე ჰქონდა. გამომართვა, მუხლებზე დაიდო, გულდასმით წაშალა თავისი ხელმოწერა. წაშალა ყველაფერი გასწვრივ — ტელეფონიც, მისამართიც, მამის სახელიც. დამიბრუნა ქაღალდი და იდუმალი ჩურჩულით მაუწყა:

— ახლა არ მკითხო არაფერი. უნივერსიტეტს რომ დაამთავრებ, მერე მიხვდები, რატომ წავშალე ჩემი ხელმოწერაო. საერთოდ, კარგი მინდა, იცოდე, შენთვისო, — ეს რებუსები პასუხი დამიგდო და, არ დამეწვასო, კიბე სულ ასკინკილით ჩაირბინა.

უნივერსიტეტის ბაღში, პეტრე მელიქიშვილის ძეგლის გვერდით ჩვენი ყოფილი დეკანი სევერიანე მეხუზლა იჯდა.

მისკენ გავემართე.

ხელმოწერებს ვაგროვებთ, პატივცემულო, ნახეთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ დაგვდოთ პატივი და მოაწეროთ-მეთქი.

გამომართვა, დახედა.

სათვალე შინ დამრჩა, რა წერია, მითხარი, რას მოითხოვთო.

რუსის საოკუპაციო ჯარის გასვლაზეა ლაპარაკი-მეთქი. კეთილი და პატიოსანი, ვინ შემოგვყავთ სამაგიეროდო.

არავინ, საქართველო დეოკუპირებული, თავისუფალი სახელმწიფო იქნება-მეთქი.

გველნაკბენივით წამოხტა.

— იყო ეს ყველაფერი, შანშე, ახალი არაფერია მაგაში. იყო ეგ და რაც მივიღეთ, კარგად იცი შენო. კი ბატონო, ვინ გიშლის ხელმოწერების შეგროვებას, მარა ამის დრო გაქვს ახლა შენო? გამოცდები და ჩათვლები კარზეა მომდგარი. სად გცალია ამისთვის. თავისუფალი დრო რომ გექნება, მერე აგროვე ხელმოწერები. კარგად იყავი ახლაო.

ჩემს პასუხს არ დაელოდა. წამოდგა, შარვალზე ხელი გაისვ-გამოისვა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავიდა.

პროფესორ თადუმაძეს საღამო ხანს შინ მივაკითხე. ვიცოდი, ძველი სტუდქალაქის წინ ცხოვრობდა.

ძლივს მივაგენი სადარბაზოს. ვრეკე ზარი.

არავინ მიღებს.

მოპირდაპირე კარზე დავაკაკუნე.

სათვალიანმა ქალმა გამიღო.

— ქალბატონო, ბატონი თადუმაძე ხომ არ დაგინახავთ დღეს, სტუდენტი ვარ, ხელმოწერებს ვაგროვებ და ამ საქმეზე მინდოდა შემეწუხებინა-მეთქი.

რა ხელმოწერებსო.

საოკუპაციო ჯარის საქართველოდან გასვლის მოთხოვნაზე-მეთქი.

მეც უნივერსიტეტის თანამშრომელი ვარ, თუ შეიძლება, მეც მოვაწერო ხელიო.

კარგი იქნება-მეთქი.

ავტოკალამი და ქაღალდი ერთად გავუწოდე.

თავფურცლისთვის არც დაუხედავს. ხელი სწრაფად მოაწერა. დანარჩენი ორი გრაფაც პირწმინდად შეავსო.

მერე შემომხედა დაკვირვებით.

რა ვიცი, იყო წელან გრიშა შინ. შეიძლება პურზე გავიდაო.

კიდევ ერთხელ დავრეკე ზარი. ქალბატონს მადლობა მოვახსენე და კიბეს ჩავუყევი.

თადუმაძე სადარბაზოსთან შემხვდა. იღლიაში ფიცრის ნატეხები ამოეჩარა.

აქ რა გინდაო, მკითხა.

თქვენთან ვარ, პატივცემულო-მეთქი.

ავიდეთ აბაო.

ასე ვწვალობ. ეზოში, მიტოვებულ მშენებლობაზე ნაფოტებს ვაგროვებ. რა ვქნა აბა, სულ ლოგინში ხო არ ვიკოტრიალებ კაციო.

ავედით, ცეცხლის დანთებაშიც მოვეხმარე.

ხელმოწერებს ვაგროვებ-მეთქი, მოკრძალებით შევაპარე, ღუმელი რომ გახურდა და ცოტა ფერზე მოვიდა ჩემი მასპინძელი.

გამომართვა, ხმამაღლა წაიკითხა.

მე რა უნდა ვქნაო.

იქებ, ხელი მომიწეროთ-მეთქი.

რასო?

ამ ქაღალდს-მეთქი.

მე, საერთოდ, კოლექტიურ განცხადებებს ხელს არ ვაწერო. მე თვითონ ჩემი ანგარიში მაქვს ამ ხელისუფლებასთან, მარტოხელა მებრძოლი ვარ, სანამ ამათ არ დავამხობ, არ მოვისვენებ. რაც შეეხება კოლექტიურ ხელმოწერას, ეგ ბავშვური თამაშია და მაგნაირ მასობრივ თავის მოტყუებაში ვერ გავერევიო.

კამათი არ დამიწყია. რა უნდა მეთქვა, კაცს საკუთარი აზრი ჰქონდა ხელმოწერათა შეგროვებაზე.

თავი რომ აღარ მოგაბეზროთ, ორი დღის წინ და უკან სირბილის შედეგად სამი ხელმოწერა შევაგროვე: მეორე თადუმაძის პირდაპირ მცხოვრებმა, პარლამენტის ყოფილმა წევრმა ივანე ფაჩულიამ მომიწერა უყოყმანოდ ხელი და მესამემ — მესამე კორპუსის დამლაგებელმა კვინტრიშაძემ — ცალთვალა ქალმა, რომელსაც ქმარი რუსეთ-საქართველოს 1992-92 წლების სამამულო ომში დაეღუპა.

ეს იყო და ეს.

სამი დღის შემდეგ დავუბრუნე კალანდაძეს ფურცელი და „საქართველოს თავისუფლების ლიგასაც“ მეტად აღარ გავკარებივარ.

გული გამიტყდა, პატივცემულო.

პოეზიით გაცხადებული ჭეშმარიტება...

ახლა ახალი სასწავლო წლის დასაწყისის სამზადისია საჯარო სკოლებში... ყოველი წუთი ძვირფასია საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელისათვის. მუდმივი კონტაქტები სკოლის დირექტორებთან, ინფორმაციების მიღება თუ გადაცემა, სხვადასხვა ტრენინგებში ჩართვა, ზრუნვა და კონტროლი სწავლის დაწყებისათვის სკოლების მოსამზადებლად და ა.შ. და ა.შ.

რამდენიმე შეკითხვით სწორედ ასეთ დროს მივმართეთ მას არა როგორც ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტული დარგის ხელმძღვანელს, არამედ ქალბატონს, რომელსაც პოეზიის ტრფიალი და მასთან შეთამაშ-შეთამამება ჯერ კიდევ ვარდისფერი ბავშვობიდან მოჰყვება.

ქეთევან შეყრილაძე ჯერ კიდევ მეოთხე კლასის მოსწავლე იყო, როცა მისი პირველი ლექსი „ფერისცვალება“ „თერჯოლას“ წინამორბედ გაზეთ „წინსვლაში“ დაიბეჭდა.

ქეთევანმა 1983 წელს დაამთავრა თერჯოლის №1 საშუალო სკოლა, 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იგი წლებია ხელმძღვანელობს თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

მშობლები: დედა თინათინ მარუაშვილი და მამა მიხეილ შეყრილაძე არა მხოლოდ თერჯოლელთათვის კარგად ცნობილი, უაღრესად განათლებული და ზნეკეთილი ადამიანები იყვნენ.

ქეთევანს ლიტერატურა დედამ შეაყვარა, რომელმაც თითქმის ზეპირად იცოდა ქართული მწერლობა და არა მხოლოდ ქართული... ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ქალბატონ ნუნუ აბულაძეს...

ქეთევანს ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი. თამარი უცხო ენების სპეციალისტია, თეონა არქიტექტორი, ნიკა ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტი ამჟამად პოლონეთშია.

გოგონები დაოჯახებულები არიან და მათი 2-2 შვილი—ანუ ოთხი შვილიშვილი ნამდვილად ულამაზებენ ქეთევან ბებოს ყოველდღიურობას, მისი ლექსების ადრესატებიც ხშირად არიან თავიანთ მშობლებთან ერთად.

მისი გამორჩეულად საყვარელი პოეტი შოთა ნიშნიანიძეა და სწორედ აქედან მოდის ორიენტირი, როცა განსაკუთრებულ აქცენტს ადამიანის დანიშნულებაზე აკეთებს.

უაღრესად საპასუხისმგებლო დარგის ხელმძღვანელს, ასევე დიდ ოჯახზე მზრუნველსა და მოამაგეს კარგად ხელეწიფება, განსაკუთრებული ამბავი სიხარულის მაუწყებელი თუ ტრაგიკული შემთხვევისა ლექსად ჩამომარცვლოს და ასე გამოეხმაუროს. ასე შეიქმნა მისი არაერთი პოეტური ნაწარმოები, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომზე.

ქეთევანის პირად ლექსთა არქივში მრავლადაა მიძღვნილი ლექსები ახლობლებისადმი, მეგობრებისადმი, შვილების და შვილიშვილებისადმი, რომლებიც სიყვარულითაა გამთბარი. მას აგრეთვე არაერთხელ დაუწერია ლექსი მეგობრების თხოვნით.

ამას წინ, თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკაში, ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე მისმა გამოსვლამ და ლექსებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც აზრით, შინაარსით, იდეით, ლექსთა წყობით უაღრესად გამართულ-დატვირთულმა სტრიქონებმა. თუმცა მას არც პოეტობის პრეტენზია აქვს და არც სურვილი წიგნად გამოსცეს ეს ლამაზად ნააზრევ-ნაფიქრალი შემოქმედება. წერს დროდადრო და თავის არქივს ამდიდრებს ლამაზად გადმოცემული სტრიქონებით, რომელთაც არც სიყვარული და სითბო არ აკლია და რეალურ სამყაროსაც არასდროს მოწყვეტია...

და მაინც მთავარი თემა ქეთევანის შემოქმედებაში არის ადამიანი და მისი დანიშნულება სამყაროში, მისი ამქვეყნიური მოვლინების აზრი და არსი, ანუ საკუთარი თავის შეცნობის მუდმივი ძიება...

უფრო მეტს ამ თემაზე, ქეთევან შეყრილაძის შემოქმედებაზე, მის საწუხარ-საფიქრალზე გაიგებთ მისი ბოლოდროინდელი, შეიძლება ითქვას, ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან: „შიშველი მოველ ამქვეყნად“ უკან შიშველი წავალო...

გულდასმით გაეცანით, დასკვნებსაც თავად გამოიტანთ...

„შიშველი მოველ ამქვეყნად”, უკან შიშველი წავალ,

ვისთვის ხიდი ვარ მდინარის, ვისთვის, უბრალოდ, გზა ვარ.

მწყურვალისათვის წყალი ვარ, დამშეულისთვის - პური,

მსმენელისათვის ენა ვარ, მოსაუბრისთვის - ყური.

შვილებისათვის დედა ვარ, მშობლების - ვიყავ შვილი,

შენთვის თუ გამოცანა ვარ, სხვები - პასუხად მთვლიდით,

წუთისოფლის ვარ სტუმარი, მავანის - მასპინძელი,

ვისთვის ღამე ვარ მოკლე და ვისთვის დღე - გრძელზე გრძელი,

კაცი ვარ, ადამიანი, ნაკლით და ღირსებებით,

და თუკი წამოვიჩოქებ, კვლავ ფეხზე წამოვდგები,

რა აღარ გადამხდენია, მაგრამ მოვედი დღემდე,

შენი წყალობით, უფალო, შენ ერთს, მხოლოდ შენ გენდე“...

რაც თავი მახსოვს, განათლების სისტემის ნაწილი ვარ. მე და მამა სკოლაში ერთად შევედით. ის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად, მე - მოსწავლედ.

დედა ქიმიკოსი გახლდათ, მეღვინე - ტექნოლოგი - ქართული წიგნიერების და პოეზიის უბადლო მცოდნე, ერთხანს „წიგნის მოყვარულთა საზოგადოების“ თავმჯდომარე, თვითონაც წერდა...

ფაქტობრივად სკოლაში ვიზრდებოდი...

სკოლა იყო ჩემი მეორე სახლი...

სკოლა რომ დავამთავრე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი, მშობლებმა წინ დამიყენეს და მითხრეს: „ჩვენმა სიმართლემ გიწინამძღვროსო“ - ჰოდა მოვდივარ მას მერე...

არის ასეთი სახელმძღვანელო - „შეიცან თავი შენი“ - „წითელი ჯვრის საგანმანათლებლო კომიტეტის“ მიერ გამოცემული. ერთი პერიოდი სკოლებში გამოიყენებოდა, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. ვფიქრობ, მთელი ჩვენი ამქვეყნიური არსებობა სწორედ ამას, საკუთარი თავის შეცნობას უნდა ემსახურებოდეს - რანი ვართ, რისთვის ვართ, რატომ მოვედით ამ ქვეყნად, საით მივდივართ და რა უნდა წავიღოთ თან „საუკუნო საგზლად“...

გურამიშვილიც ბრძანებდა - „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

ამის შეცნობას ცოდნა სჭირდება. ცოდნა კი სწავლის გარეშე არ არსებობს. სწავლის გარეშე ვერ ვიპოვით ადგილს ამ უკიდეგანო სამყაროში, რომელიც ღვთიურ წესრიგს ემორჩილება მხოლოდ და მხოლოდ. აკი რუსთველიც გვეუბნება - „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზეს, მწყობრთა წყობისაო“...

ადამიანო, შენ ხარ წერტილი, თვალშეუწვდომელ ამ სამყაროში,

ხან სავსე ხარ და ხან დაწრეტილი, ხან მწვერვალზე ხარ, ხანაც ხაროში,

ვისთვის წყალი ხარ უკვდავების და ვისთვის საწამლავს დაედარები,

ვისთვის ბოქლომი, თან ჩაჟანგული, ვისთვის სასახლის ღია კარები.

ვისთვის ყლორტი ხარ, ვისთვის ხარ ფესვი, ვისთვის ღმერთი ხარ, ვისთვის - სატანა.

დღეს ხელმწიფე ხარ ყოვლისშემძლები, ხვალ ოფლით გიწევს თავის გატანა.

ადამიანო, სუნთქავ რადგანაც უფლის თარგზე ხარ რადგან მოჭრილი,

ემსგავსე ქრისტეს, მისკენ იარე, მისი მცნებების იყავ მორჩილი!

სათქმელად ადვილია - ემსგავსე ქრისტეს, მისკენ იარე, მისი მცნებების იყავ მორჩილი!

საქმნელად - ძნელი...

მთელი ჩვენი ცხოვრება სჭირდება და თუ ამას დააპირებ, სხვა რამისთვის, ფაქტიურად, დრო აღარც რჩება...

და რომც დავაპიროთ, ხშირად ვერ გამოგვდის...

ამიტომ ხშირად მეფიქრება ხოლმე -

რა კარგი შეგვქმენ, უფალო, მსგავსი და ხატი თვისი,

რას დავემგვანეთ, რა გავხდით, მგმობელები ვართ ღვთისი.

სიყვარულისთვის შექმნილნი უსიყვარულოდ ვცხოვრობთ.

და მერე გვიკვირს, როგორი ცუდი გვქონია ბოლო.

„არა იყვნენო უცხონი ჩემსა გარეშე ღმერთნი“ –

გვითხარი, ჩვენ კი ლუციფერს ვეთაყვანებით ერთნი,

მეორეები – კერპებს ვქმნით, სხვანი – ვუჩოქებთ დოლარს,

ყელამდე ლაფში ჩაფლული სხვისთვის ვკითხულობთ მორალს.

„არა მოიღო სახელი . . . ამაოსაო ზედა“ –

ჩვენ კი ყოველ წუთს, უფალო, შენსას ხსენებას ვბედავთ,

ჩვენ კი ამ ყოფიერებით ისე ვართ

რეტდასხმული,

მატერიაში ჩაფლულებს სულ დაგვავიწყდა სული.

„ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არის უფლის“–

ჰა, რამდენს გვახსოვს – ტაძრის კარს ბევრი შორიდან ვუვლით,

არც სანთელს ვანთებთ . . . თუ ვანთებთ, ღმერთო, შეგვინდე – რას გთხოვთ,

მხოლოდ პირადზე ვლოცულობთ, კეთილდღეობას ვნატრობთ.

„პატივი-ეცი მამასა და დედასაო შენსა“–

ჩვენ კი არ გვესმის არც მათი სიტყვა, არც გულის კვნესა,

აბა, ამ ბოლოს ამბავი მათი იკითხეთ როდის?

„ვაი დედაო“ – ვიძახით, თუ განსაცდელი მოდის.

„არა კაც-კლაო“

– ყოველ დღე, ეჰ, რამდენ ცოდვას ვიდებთ,

ზოგს – სიტყვით, ზოგს – გამოხედვით ვკლავთ ძალა შეგვწევს ვიდრე,

ზოგს – გულგრილობით ვანგრევთ და ზოგს ვანადგურებთ გესლით,

მავანს თუ ისარს ვუმიზნებთ, მეორეს ტყვიას ვესვრით.

„არა იმრუშო“

– აქ რა ვთქვათ, ღმერთო, დაგვწერე ჯვარი,

ცხოვრების ნორმად ქცეულა მრუში კაცი და ქალი.

მრუში აზრები, ქცევა და ჩანაფიქრები მრუში

ანაცვლებს ღვთიურ სიყვარულს ჩვენს გულებსა და სულში.

„არა იპარო“

– ვიპარავთ, რა გვიხერხდება ვისაც,

ქონებას, სახელს, იმედებს, სიყვარულს ანდა ქისას,

ზოგი ლექსს, ზოგიც რითმას და ზოგიც ცხოვრებას სხვისას.

არ ვერიდებით არაფერს, არც კაცის, არც ღვთის რისხვას.

„არ ცილი სწამო მოყვასსო შენსა წამებით ცრუთი“

ვის რა დავწამეთ – ოჰ, ღმერთო, შორს ჩვენგან აზრი მრუდი,

ერთგულს, მოყვარულს, მოფიქრალს მოღალატედ რომ რაცხავ,

საკუთარ „დირეს“ ჩახედე, ხომ კარგად იცი რაც ხარ. . .

რა კარგი შეგვქმენ, უფალო, მსგავსი და ხატი თვისი,

რას დავემგვანეთ, რა გავხდით, მგმობელები ვართ ღვთისი.

ისე ვცხოვრობთ, რომ არ ვფიქრობთ, არ ვზრუნავთ ბოლო დღისთვის,

ჰოდა ზარი რომ ჩამოკრავს, მერე ვკითხულობთ – რისთვის?!

რისთვის? - უფლის ხატი - საკუთარი თავი დავაზიანეთ, დავბზარეთ, მოვთხვარეთ...

გზა - სავალი აგვერია...

„მე ვარო გზა“ და „მე ვარო კარი“- გვითხრა...

ჩვენ სხვა გზას მივყვებით და სხვა კარის შეღებას ველტვით...

☞7

ყოველდღიურობით გავერ-

პოეზიით გაცხადებული ჭეშმარიტება...

6 ☞

თეთ, ამიტომაც შეგვაფხიზლა...
შეგვახსენა, რომ...
სხვა ყველაფერი არაფერია!
მხოლოდ უფალი არის სავსება,
მუდამ გახსოვდეს, ადამიანო,
შენი ვალია უფლის მსგავსება.
თავზე თმის ბეწვიც არ შეგერხევა,
თვითონ უფალმა თუ არ ინება,
შეხვდი განსაცდელს, როგორც ღვთის ნებას
გამოიჩინე შენ მოთმინება.
და თუკი სცოდა მოდგმამ ადამის,
იმ ცოდვის ბრალში შენც ხარ რეული,
დაბოდიალობ დედამიწაზე,
უღმერთოდ დაგაქვს შენი სხეული,
ეპოტინები, რას, არც კი იცი,
გინდა სახელი, გინდა დიდება,
და ვერც კი ხვდები, სულდამძიმებულს,
მონანიება როგორ გჭირდება. . .
ყველანი ვცოდავთ, სიტყვით ან საქმით,
ან სულაც ფიქრით, ზღვარგადასულით,
და გვავიწყდება რისთვის მოვედით,
ჩვენი აწმყო და ჩვენი წარსული,
ქალი ქალს არ გავს, კაცი - ნაკაცარს
დამსგავსებია სახით თუ სულით,
ნაცვლად უფლისა, რას ვცემთ თაყვანს და
რას დავატარებთ სისხლგაცლილ გულით,
შეჩერდი წამით, კაცო, დაფიქრდი,
იქნებ, განგებამ ნიშანი მოგცა,
სულის უნდოდა იქნებ კურნება,
ეს განსაცდელი მოგიწყო როცა. . .
ესეც გაივლის. . .არ გაჩერდება
წუთისოფელის ტრიალი, რბოლა,
იმ წუთისათვის ემზადე, როცა
ჩვენთან უფალი მეორედ მოვა. . .

ნებისმიერ გზაზე სიარული გაცილებით იოლია, თუ მას წინამძღოლთან, მოძღვართან ერთად დაადგები...

ეს ნამდვილად ღვთის საჩუქარია...

ისეთი დიდია, ცას სწვდება, და თანაც, ისეთი უბრალო,

შენი ხატებაა მიწაზე, ჩვენი პატრიარქი, უფალო,

უბადლო მწყემსია ცხოვართა, მორწმუნეთ უსაფრთხოდ გვატარებს

თვითონაც ანათებს და შენი ნათლით ასხივოსნებს პატარებს.

იძლევა მაგალითს სიმტკიცის, ეჰ, რამდენს გაუძლო ქარიშხალს,

ცილისწამებების ნიაღვარს, ლანგარით მირთმეულ დარიშხანს.

ყველა განსაცდელი გაივლის, რეკავენ იმედის ზარები,

და როცა მსოფლიომ დახურა, მან გახსნა ტაძრების კარები,

რადგანაც შენს სიტყვას, უფალო, ყველგან ძველებურად ექუხა,

დაუდგა მსოფლიო განსაცდელს, როგორც ქედუხრელი ბერმუხა.

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა კვლავაც არ გაგვწირო, გვიცოდე,

მოჰმადლე პატრიარქს სიცოცხლის დღეები, ჩვენთვის რომ იღვწოდეს,

მადლობა, მადლობა, უფალო, მის ეპოქაში რომ გვაცხოვრე,

უფალო, შეგვიწყალე, ცოდვილნი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, გვაცხონე!

მართლმადიდებელი ეკლესია 14 სექტემბერს ინდიქტიონის, ანუ ეკლესიური ახალი წლის დაწყებას აღნიშნავს. სამებაწმიდა ეკლესია „ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედს“ შესთხოვს, „აკურთხოს გვირგვინი წელიწადისა“.

მაგიური თვეა სექტემბერი...

ახალი სასწავლო წელიც ახლოვდება...

არ მწამს ცოდნა, რომელსაც რწმენამდე არ მივყავართ, არც რწმენა მინდა, ცოდნით რომ არაა გამყარებული...

ამიტომ, „ყოვლად სახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩუენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელი გულის-ხმის-ყოფისა და განმაძლიერებელი, ძალთა სულთა ჩუენთასა, რათა ჩუენ, ყურადმღებელნი გარდამოცემულისა ჩუენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩუენისა სადიდებლად, მშობელთა ჩუენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ.“

ამინ!

ღმერთმა უსმინოს...

„თერჯოლა“ კვლავ დაუთმობს თავის ფურცლებზე ადგილს ქეთევანის შემოქმედებას, მკითხველი მის ნააზრევში უდაოდ აღმოაჩენს საინტერესო და სასარგებლო მინიშნებებს იმაზე, თუ როგორ უნდა ემსახუროს ამაღლებულ იდეალებსა და ჭეშმარიტებას. წარმატებებს ვუსურვებთ ქეთევანს ყველა „ფრონტზე“, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ხელმძღვანელს და როგორც ნიჭიერ, ერუდირებულ შემოქმედს...

მზია ცქიფურიშვილი

ცხელი ზაფხულის დღეებში...

2 ☞

კულტურული ღონისძიება დავით კლდიაშვილის სახელობის სკვერში ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლებისა და ცალკეული შემსრულებლების მონაწილეობით ჩატარდა.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ხელმძღვანელმა პირებმა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადეს და სამომავლოდ წარმატებები უსურვეს.

იმავე დღესვე, „მოყვარულთა ლიგა 2022“-ის ჩემპიონატის ფარგლებში, თერჯოლის ცენტრალურ სტადიონზე თერჯოლისა და ბაღდათის მოყვარულთა გუნდებს შორის საფეხბურთო მატჩი გაიმართა, რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა.

ჩატარებულმა ღონისძიებებმა აჩვენეს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ხელს აქტიურად უწყობს მუნიციპალიტეტში ახალი იდეების, ინოვაციური პროექტების განხორციელებას, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობას, ასევე ახალგაზრდების დროის საინტერესოდ გატარებას.

სიქთარვული ფინალი

ერთ თვეზე მეტია მიმდინარეობს შიდა საფეხბურთო შეჯიბრებები მუნიციპალიტეტის სოფლებში. სოფლის ჩემპიონები კი მუნიციპალიტეტის პირველობაზე შეხვდებიან ერთმანეთს მუნიციპალიტეტის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებელად. ფინალი ოქტომბერში, ტრადიციულ ღვინის ფესტივალზე გაიმართება.

სიქთარვაში შვიდი გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ფინალში კი, რომელიც 23 აგვისტოს გაიმართა სიქთარვის საჯარო სკოლის კეთილმოწყობილ ხელოვნურსაფარიან, სტადიონზე, „გორამ“ და „მეხმა“ გაარკვიეს სოფლის ჩემპიონის საკითხი.

„გორას“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობდნენ: ლუკა ბუცხრიკიძე, ავთო ტაბატაძე, ბექა ბუცხრიკიძე, ზურა რობაქიძე, ბაჩო რობაქიძე. „მეხის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ: თორნიკე, ლევან, ირაკლი ლუტიძეები, ლაშა ბუბაშვილი, ნიკა ღიბრაძე.

თამაშის დაწყებამდე გუნდებმა და მაყურებლებმა საქართველოს ჰიმნი მოისმინეს. პირველ ტაიმში „გორამ“ პირველი ორი ბურთი გაიტანა, რასაც „მეხმა“ ერთი გოლით უპასუხა. „გორამ“ მეორე ტაიმში კიდევ ორი გოლი გაიტანა და მატჩი ოთხით ერთი დამთავრდა მათ სასარგებლოდ.

„მეხის“ კარში ბურთები გაიტანეს—ბაჩო რობაქიძემ 3 ბურთი, 1 ბურთი ბექა ბუცხრიკიძემ, „გორას“ კარში კი ბურთი თორნიკე ლუტიძემ გაიტანა.

საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა ბექა ბუცხრიკიძე, საუკეთესო ლომბარდირად ბაჩო რობაქიძე, საუკეთესო მეკარედ ლევან ლუტიძე, მათ დიპლომები გადაეცათ. გარდამავალი თასი ცხადია „გორამ“ ჩაიბარა, ეს ტურნირი ამჯერად მურმან რობაქიძის ხსოვნას მიეძღვნა. აქ იყო მისი შვილი გიორგი, რომელმაც საუკეთესო ფეხბურთელად ბაქარ კვატაია დაასახელა და პატარა თასი გადასცა სიგელთან ერთად.

აღინიშნა მსაჯის—გიორგი რობაქიძის ობიექტურობა. გუნდ „გორას„ მწვრთნელი გონერი ცხელიშვილი მატჩის მთელ მანძილზე გულშემატკივრობდა, დაჯილდოების ცერემონიალზე არ გამოჩენილა, დასამალი რა ჰქონდა!

ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად მოვიდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეები: დავით გოგბერაშვილი, ჯემალ ისაკაძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: მანუჩარ რობაქიძე, მირზა ქოჩიაშვილი, რამაც ერთგვარი ინტერესი შემატა მატჩს და აამაღლა ასეთი ტურნირის მოწყობის მნიშვნელობა. სტუმრებმა დიპლომები და გარდამავალი თასიც თავად გადასცეს—შესამაბის გუნდს და ფეხბურთელებს. მერის წარმომადგენელი სოფელში გიზო ხანიაშვილი, თანამშრომლები დავით გამეზარდაშვილი და ბაჩო ბუსკივაძე—ორგანიზებას უწევდნენ მთელ შიდა საფეხბურთო შეჯიბრებებს, სკოლის დირექტორი ია კვატაია ცხადია ესწრებოდა მატჩს, იგი მასპინძელიც იყო, ფოტოებსაც იღებდა. სტუმრებმა მიულოცეს გამარჯვება „გორას“, ერთი კარგი გუნდი შექმენითო—ბატონმა მანუჩარმა. გუნდებს ფულადი ჯილდოც გადაეცათ.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მარგო და ზაური კუპატაძეებს მულისა და დის

ლოლა კუპატაძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლამარა (ლალი) ქარქაშაძეს ბიძაშვილის შვილის პატარა

დათუჩა ქარქაშაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

ფერისცვალება—ფერისცვალების სახელობის სიქთარვის ეკლესიაში

ფერისცვალების სახელობის სიქთარვის ეკლესიაში 19 აგვისტოს მრევლი სრულ 9 საათზე შეიკრიბა და წირვაც დაიწყო. საერთო საზეიმო განწყობას ხელს უწყობდნენ სტუმრები: ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი (შალამბერიძე), ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წარგზავნილი მეუფე დოსითეოსი (ბოგვერაძე), არქიმანდრიტი ისე (დოსითეოსის თანმხლები), დეკანოზი იოანე რევიშვილი, მღვდელი მამა დავითი (ჭანტურიძე).

ფერისცვალება უფლისა იესო ქრისტესი

...უფალმა 12 მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე. მათთან ერთად თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად. სანამ უფალი ლოცულობდა მოწაფეებს ჩაეძინათ. გაღვიძებისას ნახეს, რომ იესომ ფერი იცვალა „და იცუალა მათ წინაშე სხუად ფერად და გაბრწყინდა

პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ ვითარცა ნათელი“ (მათე 17,2). ამ დროს მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველნი იდგნენ და მასთან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რაც იერუსალიმში მოელოდა. პეტრემ წამოიძახა „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ—ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიასა“ (ლუკა 9, 33). ამ სიტყვების შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგა მათ და ღრუბლიდან მოისმა ხმა ღვთისა—„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინე“ (მათე 17,5). შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხვნენ, მათთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა „აღდეგით და ნუ გეშინინ“ (მათე 17,7) როცა მათ მიმოიხედეს მოსე და ელია აღარსად იყვნენ, იესო კი იდგა მისი ჩვეულებრივი სახით.

ფერისცვალების საეკლესიო დღესასწაული

... ამ დროს ტაძრები უხილავად ივსება ანგელოზებით, მათ გარდა ღვთისმსახურებაში, ასევე უხილავად მონაწილეობენ წმინდანები და ყველა ერთად თავისი წმინდა საფარველით გვიფარვენ. წმინდა სერაფიმე საროველმა სწორედ ამ დროს იხილა მაცხოვარი ანგელოზთან ერთად—აი, როგორ გადმოსცემს ამას წმინდა მამა: ერთხელ, წირვის დროს შევედი საკურთხეველში და წარმოვთქვი „უკუნითი უკუნისამდე“ უეცრად აღმობრწყინდა ნათელი, რომელშიც ვიხილე ჩვენი უფალი იესო ქრისტე გაბრწყინებული, მზეზე უფრო ელვარე, გარემოცული გამოუთქმელი ნათლითა და გარშემორტყმული ანგელოზებით, მთავარანგელოზებით, ქერუბინებით და სერაფინებით, ის ჰაერში მიდიოდა ტაძრის შესასვლელიდან ვიდრე საკურთხევლამდე. ამბიონთან გაჩერდა, ხელები აღაპყრო და მსახურები და მლოცველები დალოცა, შემდეგ კი აღსავლის კართან დაკიდებულ ხატში ჩაესვენა...

***

„სიბრძნით აღვმართენით“, „მშვიდობა ყოველთა“ ხშირად ისმოდა ტაძარში, მგალობლები გალობდნენ რჩეულ საგალობლებს, ფსალმუნებს, მრევლიც იმეორებდა „უფალო შეგვიწყალენ“, „მოვედით, თაყვანი ვსცეთ და შევუერთდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა, მრევლი იმეორებდა უფლის დიდებას, რომ ისაა ჭეშმარიტად ბრწყინვალება მამისა...

და გაძლიერებული ლოცვით „უფალო შეგვიწყალენ“ დაილოცა პატრიარქი, საპატრიარქო, სამღვდელოება, ერისკაცები, მთავრობა, მხედრობა, ყველა ქრისტიანის შეწყალება და კეთილდღეობა ეთხოვა უფალს.

მრევლი ეზიარა, ჩააბარა აღსარება, მოხდა ზეთისცხება, ეკურთხა პური და ღვინო, ყურძენი და სხვა ნაყოფი, მრევლი ემთხვია ჯვარს და მიიღო წმინდა სეფისკვერი...

***

...მადლობა უფალს, რომ წლების წინ, სამების საკათედრო ტაძარში ფერისცვალების დღეს მეც მომისმენია პატრიარქის ქადაგება. დღემდე მახსოვს მისი ნათქვამი. შემდეგ პატრიარქის ერთ-ერთი ასეთი ქადაგება დაიბეჭდა... „ჩვენ ხშირად ვდგავართ ხან თაბორსა და ხან გოლგოთაზე, ზოგჯერ ადამიანს, განაკუთრებით მაშინ, როცა დიდ თანამდებობას ან დიდ სიმდიდრეს შეიძენს, თავი თაბორზე წარმოუდგენია და ყველას ზემოდან დაჰყურებს, სინამდვილეში კი ამ დროს უფრსკულში დგას და ზემოდან, პირიქით, მას დაჰყურებენ. რა თქმა უნდა ასეთი ადამიანი გოლგოთის აღმართს ვერ გაუძლებს და აუცილებლად დაეცემა. გოლგოთაზე თავისი ჯვრის ატანას მხოლოდ ის შეძლებს, ვინც მართლაც თაბორის მთაზე მდგარა და ჭეშმარიტი ფერისცვალება განუცდია, რადგან მას ამ დროს ღვთის ძალა და მადლი შეეწევა.

ზოგჯერ ისე გვიჭირს, რომ თითქოს გამოსავალს ვერაფერში ვხედავთ, თითქოს ყველა გზა გადაკეტილია და არც მშველელი ჩანს სადმე, მაგრამ სწორედ ამ დროს მიდის ძალა უფლისა და სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვისაგან გვათავისუფლებს. თუ დღეს განსაცდელში ხარ, ნუ დაგავიწყდება, რომ განსაცდელს ნუგეშისცემა და სიხარული მოსდევს, ხოლო თუ სიხარული და ბედნიერება არ გაკლია, ნუ გაამაყდები, რადგან წინ შეიძლება განსაცდელი გელოდებოდეს, ადამიანის ცხოვრება ხან დაცემათა და აღდგომათა გაბმულ ჯაჭვს წარმოადგენს“.

მეუფე გიორგის ქადაგება

თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგიმ ხაზი გაუსვა წინაპართა სარწმუნოების დიდ სიყვარულს და სიჭკვიანეს, ურწმუნო კაცი ჭკვიანი ვერ იქნებაო. კიდევ ერთხელ დეტალურად და გასაგებად განმარტა ფერისცვალების დღესასწაულის სიდიადე, ხაზი გაუსვა „გიყვარდეს შენი მტერი“-ს აუცილებლობას, ისაუბრა ქრისტეს სასწაულებზე, სიკეთეზე, „არა კაც კლა“-ზე, „ილიას რომ კაცი მოკლავსო“ დანანებით თქვა, ყოველდღე ვკითხოთ ჩვენს თავს „აბა მე დღეს ვის რა ვარგე“, მეუფე გიორგიმ დალოცა მორწმუნეები წმინდა სამების სახელით, მრევლი ღვთისადმი მადლის გამოსახატავად თავდახრილი იდგა. მრევლს მოუწოდა, რომ მიწიერ ცხოვრებაში არ უნდა დავივიწყოთ ეს ფასეულობები, რომელიც სავალდებულოა თითოეული ჩვენთაგანისათვის მარადისობაში, აღბეჭდეთ გულში ქრისტეო, ბრძანა. მეუფე გიორგიმ მრევლს წარუდგინა მეუფე დოსითეოსი, თხოვა მას ბელგიასა და ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველების სულიერების გაძლიერება, რომ ლოცვებში ხშირად მოიხსენიეს დიდი ქართველი წინაპრები, თავის მხრივ მეუფე დოსითეოსმა გამოხატა სიხარული, რომ საქართველოშია—„მოწყურებული ვარ თქვენთან შეხვედრას, ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ერთად ფერიცვალება დღეს მეორედ ვმსახურებ ქართულ ტაძარში—უთხრა მან მეუფე გიორგის და აღუთქვა ამ ქვეყნებში მცხოვრები ქართველების მფარველობა...

„თვალი მოვკარი, აქ აკაკია“

„თვალი მოვკარი აქ აკაკია, ღრმადმორწმუნე ადამიანი, რომელმაც ბევრი გააკეთა ამ ეკლესიისათვის, გმადლობთ და კიდევ ველოდებით თქვენგან სიკეთეებს“ ქადაგებისას, სამარისებურ სიჩუმეში, მრევლი ოდნავ ახმაურდა, მეუფის ამ სიტყვებმა ინტერესი გამოიწვია. მრევლთაგან ბევრი იცნობდა აკაკის, ბევრი ვერა. იგი სიქთარველების—ტიტიკო ნემსაძის და ირა ბარბაქაძის სიძეა. დიახ, საქართველოში ყოფნისას ბატონი აკაკი მართლაც ბევრს აკეთებს, მოსკოვშიდაც კი ცნობილი ექიმი, თავს ევლება სიქთარვლებს... ყოველ ზაფხულს აქ ატარებს, ეკლესიას ხშირად სტუმრობს, „კვლავაც სიკეთეებს ველოდებით თქვენგანო“— უთხრა ბატონ აკაკის მეუფემ და ასეც იქნება.

წლებია მეც ველოდები მისგან ინტერვიუს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დავითანხმე, ვნახოთ!

***

დამთავრდა წირვა, გამოგვყვა რწმენა, რომ ღვთის უპირატესად გული უნდა შევწიროთ, განწმენდილი გული, დაიხარჯო იმისთვის, ვისაც ნამდვილად სჭირდები, შეეწიო იმას, ვისაც მართლა ჭირდება, გახსოვდეს ის, ვინც შენს მოლოდინშია, აპატიე ყველას, გიყვარდეს ნებისმიერი:

მეუფე გიორგის მიერ ქადაგებისას ნათქვამი ყოველი წინადადება იყო დასამახსოვრებელი...

უნდა დავიმახსოვროთ.

ერი და ბერი იმ დღეს ერთად იყო შეკრებილი.

სიქთარვის ეკლესიის მოძღვარი მამა მარტინი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ეკლესიაში არ იმყოფებოდა, წირვა სტუმრებმა ჩაატარეს, მამა მარტინს გამოჯანმრთელება უსურვეს და მადლობა გადაუხადეს.

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872